F75 N 6180

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 276 (19418) ◆ კვირა, 1 დეკემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ინიციატორთა დევიზით: წლიური გეგმა — ვადამდე!

ახლოვდება ამოქმედების დღე

კავკასიონის ქედის კლდეებში გაყვანილი ოთხკილომეტრიანი საავტომობილო გვირაბიდან აღებულია დროებითი ფოლადის ბიგების უკანასკნელი სექციები. ისინი შეცვალა ბეტონმა, რომლითაც მთლიანად არის დაფარული სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მშენებარე ტრანსკავკასიის ავტომაგისტრალის უმნიშვნელოვანესი ობიექტის კამარა. დიდი ოქტომბრის 68 წლისთავის წინ მებეტონეებმა ნ. ზაიცევმა, ა. თვარაძემ, პ. გაგ-ლოევმა და სხვებმა ობიექტი გადასცეს სპეციალისტებს, რომლებიც შეუდგნენ ურთულესი მოწყობილობის დამონტაჟებას. აქ დაიდგმება თანამედროვე ტელემეტრიული სისტემები, სხვა ავტომატიკა, რომელიც კონტროლს გაუწევს გვირაბის ყველა რგოლის სიმტკიცეს, თანაბარზომიერი განათება და ვენტილაცია უზრუნველყოფენ უსაფრთხოების მაღალ დონეს.

ჰიდროტექნიკური, მოპირკეთებისა და სხვა სამუშაოების ერთდროული შესრულების მეოხებით მაგისტრალის საექსპლოატაციოდ გადაცემის დღე მნიშვნელოვნად მოახლოვდება.

— გვირაბის მშენებლობის პერიოდში ბევრი სხვადასხვა დაბრკოლების გადალახვა მოგვიხდა, — თქვა თბილისგვირაბმშენის № 13 საგვირაბო რაზმის მთავარმა ინჟინერმა რ. ვართანოვმა. ზვავები, წყალდიდობა, უძლიერესი ქარი ხშირად ხელს გვიშლიდა გზის მშენებლობაში. ჩვენ კი გველობებოდა ფხვიერი გრუნტი და იძულებული ვიყავით გაგვემაგრებინა უკლებლივ ყოველი გავლილი მეტრი. მაგრამ გვირაბის მშენებელთა კოლექტივმა მშენებლობის თანამედროვე მეთოდების გამოყენების მეოხებით საუკეთესო შედეგებს მიაღწია. ვადამდეა შესრულებული მიმდინარე წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმები, გაისად მაგისტრალი საექსპლოატაციოდ გადაეცემა. ეს იქნება ჩვენი საყრილობო ნობათი.

კარგი შედეგებით

თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანის" კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააქტიურა მუშაობა. სამი კვარტალის შედეგების მიხედვით, როგორც გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა რ. ბებერაშვილმა გვითხრა, აქაურმა მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვეს. პროდუქციის გამოშვების გეგმა 107 პროცენტით შესრულდა, რეალიზაციის გეგმა კი 104,3 პროცენტით. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის ტემპმა შესაბამისად 110,6 და 110,5 პროცენტი შეადგინა. 400 ათასი მანეთით გადააჭარბეს მოგების დავალებასაც.

გაერთიანებაში დიდი ყურადღება ეთმობა ასორტიმენტის განახლებას, ტექნოლოგიური პროცესების დახვეწას, ფეხსაცმლის სტრუქტურის გაუმჯობესებას, ახალი ტექნიკის დანერგვას. აქ დაიდგა საზღვარგარეთული და სამამულო წარმოების ახალი ტიპის მანქანა-დანადგარები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. ახალი გაკერვითი-დოპელური მეთოდით ფეხსაცმლის დამზადებას დადებითი შედეგი მოჰყვა. ფეხსაცმელი უფრო ლამაზი და გამძლეა. საპირედ იყენებენ სხვადასხვა ფერის სინთეტიკურ მასალებს, ველურ, რბილ, ელასტიკურ ტყავს და სხვ. გაფართოვდა საბავშვო ფეხსაცმლის ასორტიმენტი. მუშაობა გამოცოცხლდა გაერთიანების ფილიალებში. საქმე ის გახლავთ, რომ მეთაურ საწარმოში მზადდება საპირე მასალები, მუშავდება ლაბაში, ნამზადი, ლანჩა, ხოლო იკერება ფილიალებში, ამან მნიშვნელოვნად შეამცირა ხელის შრომა. გაიზარდა წახალისების ფონდი.

გაერთიანებაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. კოლექტივის გადაწყვეტილებაა კარგი შედეგებით დაამთავროს მეთერთმეტე ხუთწლედი და წლის დამლევამდე შემხმარებელს 3 მილიონი მანეთის პროდუქცია მიაწოდოს.

გავუფრთხილდეთ ყოველ კილოვატსაათ ენერგიას

ყველას კარგად ახსოვს, რომ შარშანდელმა უჩვეულო სუსხიანმა ზამთარმა, დიდმა თოვლიანობამ დღის წესრიგში დააყენა ენერგორესურსების უმკაცრესი მომჭირნეობა, შეიქმნა დაძაბული, მეტად არასასიამოვნო სიტუაცია. მოსალოდნელი იყო, რომ ეს იქნებოდა სერიოზული გამაფრთხილებელი გაკვეთილი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ხელმძღვანელისათვის, მუშაკისათვის, დაიწყებოდა ელექტროენერგიის, თხევადი სათბობის, ქვანახშირის, გაზის გონივრული ხარჯვა.

მოხდა კი ასე? იმის მტკიცება, თითქოს ენერგიის თადარიგიანად გამოყენების მხრივ არაფერი გაკეთებულიყოს, არ იქნებოდა ობიექტური. ორგანიზატორული ღონისძიებების განხორციელების, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო პროცესების სრულყოფის, ახალი პროდუქციის ათვისების შედეგად სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის მხრივ მთელმა რიგმა სამრეწველო საწარმოებმა, სხვა ორგანიზაციებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს. ახლა ზოგიერთ მათგანში ყურადღება ექცევა ერთეული პროდუქციის დამზადებაზე ელექტროენერგიის ხარჯვის ნორმების შემცირებას, ამ გზით არცთუ ცოტა კილოვატსაათი ენერგია იზოგება. ყაირათიანობის კარგ მაგალითს გვიჩვენებენ, მაგალითად, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების, „გლდანის" ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებისა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის კოლექტივები.

დიახ, ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების საკითხი მაინც ვერა და ვერ გახდა სამინისტროების, უწყებების, საწარმოო გაერთიანებების, სხვა ორგანიზაციების უპირველესი საზრუნავი, გრძელდება ენერგიის გამოყენებისადმი უპასუხისმგებლო, უსულგულო დამოკიდებულება.

მიმდინარე წლის 10 თვეში ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთმა ორგანიზაციამ, ერთად აღებულმა, დაუდევრობით 8743,0 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია გადახარჯა, რისთვისაც 682,9 ათასი მანეთი ჯარიმა გადახდათ. უყაირათოდ ხარჯავენ ელექტროენერგიას ახმეტის ჰურის კომბინატში, ახალქალაქის ლუდის ქარხანაში, გორის [illegible]

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა და მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს წინადადებანი, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს მრეწველობის გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ოსტატთა, უბნისა და საამქროს უფროსთა როლის გაძლიერებას. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება, განსაზღვრულია აღნიშნული კატეგორიის მუშაკთა მორალური და მატერიალური სტიმულირების გაძლიერების, წარმოების ორგანიზაციაში მათი უფრო აქტიური მონაწილეობის, შრომითი კოლექტივების საქმიანობის ყველა მხარის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

პოლიტბიურომ გაითვალისწინა, რომ უკანასკნელი თხუთმეტი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაში, შემადგენლობასა და ტერიტორიულ განლაგებაში, და მიზანშეწონილად ცნო მოეწყოს მოსახლეობის მორიგი საკავშირო აღწერა 1989 წლის იანვარში. მოწონებულია მთავრობის წინადადებანი, რომლებიც დაკავშირებულია ცენტრში და ადგილებზე აღწერის სამზადისთან.

პოლიტბიურომ განიხილა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხი და დაავალა სათანადო ორგანიზაციებს შეიმუშაონ შესაბამისი ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

სხდომაზე განიხილეს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში წარსადგენი ინფორმაციის პრაქტიკის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი. ამასთან აღინიშნა, რომ ობიექტური ინფორმაცია დასაბუთებულ და ეფექტიან გადაწყვეტილებათა მიღების დიდმნიშვნელოვანი პირობაა. ეს განსაკუთრებით ეხება ახლანდელ პერიოდს, როდესაც პარტიამ დასახა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი დაჩქარების ამოცანა, მტკიცედ მოითხოვს კადრებისაგან სიტყვისა და საქმის ერთიანობას, ეწევა ბრძოლას სინამდვილის ყოველგვარი შელამაზების, პარადულობისა და უმაქნისი აურზაურის წინააღმდეგ.

პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ ახლა, საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პერიოდში, რომელიც წინ უძღვის XXVII ყრილობას, ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა შევქმნათ ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში ისეთი ატმოსფერო, რომელიც მთლიანად გამორიცხავს არაობიექტურ შეფასებას და თავის ქებას, ფართოდ გაუხსნის გზას კრიტიკასა და თვითკრიტიკას, მეტადრე, ქვემოდან კრიტიკას. ეს შემადგენელი ნაწილია მუშაობისა, რომელიც წარმოებს კადრების პასუხისმგებლობის გაძლიერების, პარტიული კომიტეტების მთელი საქმიანობის სრულყოფისათვის იმ ლენინური მოთხოვნების განუხრელი შესრულების სულისკვეთებით, რომ დროზე ვამხილოთ ნაკლოვანებანი, სწორად შევაფასოთ ისინი და გადაჭრით გამოვასწოროთ მდგომარეობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილებანი ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის განხორციელების ზოგიერთ სხვა საკითხზე, პოლიტიკისა, რომლის მიზანია უზრუნველყოს მშვიდობა და ხალხთა უშიშროება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სრულვყოთ საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა, თუ როგორ ასრულებენ პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტი და თეთრი წყაროს რაიკომი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის 26 სექტემბრის კრების გადაწყვეტილებებს საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის, საბიუჯეტო ურთიერთობისა და ფულადი მიმოქცევის განმტკიცების საკითხების თაობაზე.

აღინიშნა, რომ ორივე რეგიონში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფები, ყოველდღიური და ყოველკვირეული კონტროლი დაუწესდა საფინანსო [illegible]

[illegible] ულობა ბოლო ათი წლის განმავლობაში გაიზარდა ჯერთიორად და მეტად, ხოლო თეთრი წყაროს რაიონში — ერთისამად და მეტად. მიმდინარე წლის ცხრა თვის განმავლობაში მოსახლეობის არარეალიზებული შემოსავლის მოცულობამ ტყიბულის ზონაში შეადგინა 48 პროცენტი, თეთრი წყაროს რაიონში — 48,3 პროცენტი. ასეთი მდგომარეობის ძირითადი მიზეზია სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და სანახაობითი მომსახურების დაბალი დონე.

ამ ორივე რეგიონის საგეგმო კომისიებს ჯერ კიდევ არ უკისრიათ შტაბების როლი მათი [illegible]

[illegible] ბის შერჩევაში, რეზერვის მომზადებასა და მათი პროფესიონალიზმის ზრდაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არასაკმარისად ცნო პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტისა და თეთრი წყაროს რაიკომის მუშაობა საფინანსო-საკრედიტო დისციპლინის, საბიუჯეტო ურთიერთობისა და ფულადი მიმოქცევის განმტკიცებისათვის. მათ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებანი, უზრუნველყონ სააალო საქონელბრუნვის, მოსახლეობის საყოფა- [illegible]

[illegible] ლია დადგენილებაში, რომ ადგილობრივი საფინანსო ორგანოები ნიადაგ აღრმავებდნენ და სრულყოფდნენ ეკონომიკურ მუშაობას, ეძებდნენ ბიუჯეტის შემოსავლო ბაზის განმტკიცების დამატებით წყაროებს.

საქართველოს პროფსაბჭოს წინაშე დასახულია ამოცანა შეისწავლოს კურორტ მანგლისის განვითარებისა და განაშენიანების შესაძლებლობანი და ამისათვის განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი. რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს მიეთითა, რომ საჭიროა გაითვალისწინოს მეთორმეტე ხუთწლედში წარმოების მოცულობის შემდგომი გაფართოება ტყიბულის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატში და თეთრი წყაროს რაიმრეწვკომბინატში.

სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ, რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უნდა უზრუნველყონ, რომ გაიზარდოს სახბანკის, საფინანსო და საგეგმო ორგანოების დაწესებულებათა ეკონომიკური მუშაობ- [illegible]

[illegible] ინდებურად აქვს დავალიანება ბანკებისა და მიმწოდებლების წინაშე.

კვლავ ძრის მოსახლეობის არარეალიზებული შემოსავლის გადიდების ტენდენცია. მაგალითად, ქალაქ ტყიბულში მისი მოც- [illegible]

[illegible] მზრუნველობას არ იჩენენ, რათა გაიზარდოს პარტიული ფენის როლი საგეგმო, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო ორგანიზაციების, აგრეთვე შემნახველი სალაროების კოლექტივებში, მათთვის კვალიფიციური კადრე- [illegible]

[illegible] სურსები, შეამცირონ საწარმოო მარაგისა და მზა პროდუქციის ზენორმატიული ნარჩენები და სახელმწიფო ბანკისა და მიმწოდებლებისათვის გადაუხდელობა, დაიცვან საკასო დისციპლინა. უაღრესად საჭიროა, ხაზგასმუ- [illegible]

ბამი მამაცობის ტრასაა

„ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXVII ყრილობას!" — ასეთი დევიზით შრომობს წლის ფინიშზე მთელ ქვეყანაში ცნობილი სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქმშენბამის" კოლექტივი.

...აქ, შორეულ ევენკთა მხარეში, ქართველმა ბამელებმა, რომლებიც ახლა მუშაობენ დევიზით „იკაბია — ფრიადზე!", უნდა ააგონ ცხრა 18-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, სავაჭრო ცენტრი, სკოლა, საბავშვო ბაღი, რკინიგზის სადგური, სხვა საზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობები.

სურათებზე: ტროტუარები აქ ხისაა...; შენდება ახალი დაბა ტაიგაში; მშენებელ-მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადა სამუშაოდ მიეშურება.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

„საქტიუმენმშენი": მთავარია ტემპი

საქართველოს წარმომადგენელ მშენებელთა პირველი ჯგუფი გაემგზავრა ტიუმენში საბინაო-სამოქალაქო ობიექტების ასაგებად. ახლახან შექმნილი სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის „საქტიუმენმშენის" ერთ-ერთი ამოცანაა ააშენოს დასავლეთ ციმბირის მენავთობეებისა და გაზის მრეწველობის მუშაკებისათვის 95.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სოციალურ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა კომპლექსი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში [illegible] საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ქედიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე დ. მანჯგალაძე.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ანდრონიკაშვილმა.

აღინიშნა, რომ მოკლე ვადაში გარკვეული მუშაობაა გაწეული ტიუმენში პირველი ქართული სამშენებლო რაზმის დაბინავების, მოვალეობათა განაწილე- [illegible]

ვარძია ჩვენი სიამაყე



...ჩვენ არ ვიცით იმის სახელი, ვინც პირველად განახორციელა ეს გასაოცარი ჩანაფიქ-რი — შექმნა კლდეში სამონასტრო ანსამბლი ვარძია. მატიანეები და გათხრები არაფერს გვეუბნებიან მის ავტორზე, ისტორიის შეუნელებელ სრბოლას არ შემოუნახავს შთამომავალთათვის ცნობები მის შესახებ. მაგრამ ყოველთვის, როცა ამ დიდებულ ნაგებობას უყურებ, მადლიერებითა და პატივისცემით ფიქრობ უცნობ ოსტატზე, არაჩვეულებრივი ძეგლი რომ დაგვიტოვა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით 1986 წლის სექტემბერში აღინიშნება ვარძიის 800 წლისთავი. 29 ნოემბერს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში გაიმართა ამ თარიღის აღსანიშნავად ზეიმის მომწყობი საიუბილეო კომისიის სხდომა.

სხდომაზე გამოვიდნენ ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჯ. მარუაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწ- [illegible]

(საქინფორმი).

პარტიული ცხოვრება: რაიონულ და საქალაქო კონფერენციებზე

ოთხი წლის წინათ, როცა პრესაში გაჩნდა პირველი ცნობები ფოთის სიახლეთა შესახებ, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან გამოემგზავრნენ აქეთ პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ეს მოწმობდა ექსპერიმენტის აქტუალურობას და დიდ

განყოფილება, რომელიც მოაგვარებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ოპერატიულ განაწილებას საწარმოთა შორის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში. ნედლეულისა და მასალების განაწილება-მიწოდების რაციონალიზაციის ეს გამოცდილება დამახასიათებელია ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების მუშაობისათვის. ქისრულობს რა ქალაქის მასშტაბით ტერიტორიული და მომარაგების საკითხების გადაწყვეტას, იგი პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს შესაძლებლობას აძლევს მეტი ყურადღება და ძალა დაუთმონ უშუალოდ შრომ

შრომის ეფექტიანობაზე ყველა სფეროში. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეულის დაინტერესებული, კეთილსინდისიერი შრომა უშუალოდ სახავს მეტი ბინის, სკოლის, კულტურული თუ სპორტული ნაგებობების აშენების შესაძლებლობას. აი, სად ჩაეყარა საძირკველი შრომითი კოლექტივების მონაწილეობის გააქტიურებას, ხალხის კეთილდღეობის დონის მაღლებაზე მათი გავლენის გაძლიერებას.

როგორც ცნობილია, ფართო შესაძლებლობანი მკაცრ მოთხოვნებსაც უყენებს მათს რეალიზაციას. ფოთელებმა ბევრ მეში მოიპოვეს წარმატება.

ილება ხდება, ეს კი უკვე ქალაქის სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის, მისი იდეოლოგიური უზრუნველყოფის დარგში მომხდარი გარდაქმნების წარმატების დასტურია.

დღეს ექსპერიმენტს სამართლებრივი ხასიათი მიენიჭა. მან მხარდაჭერა პოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და-

პასუხისმგებლობის სტანდარტი

დგენილებით, რომელიც საბჭოების პრინციპულად ახალი ორგანოს — ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების სტატუსის დამტკიცებას ეძღვნება. ამ აქტებმა დაადასტურა ფოთელი კომუნისტებისათვის, შრომელებისათვის რესპუბლიკის კო

დასაბა მთელი რიგი მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი ამ მიმართულებით. სწავლულებმა შეიმუშავეს სხვადასხვა დონის ინსტანციათა ურთიერთმოქმედების რეგლამენტი. მათ წამოაყენეს მართვის სტანდარტები ისეთ სფეროებში, როგორიცაა არის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანებებისა და შრომითი კოლექტივების სოციალური საქმიანობა, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება, პროდუქციის ხარისხი, საშენებლო საქმე, ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა. ძნელია ასეთი ფაქტის გადაჭარბებით შეფასება — ეს ხომ ქალაქის მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის სტანდარტიზაციის პირველი გამოცდილებაა. იგი შესაბამება მთელი ქვეყნის განვითარების

ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ. ხუთწლედის მანძილზე მოგებისაგან გადარიცხვა გადიდდა: საკავშირო ბიუჯეტში — 222 პროცენტით, რესპუბლიკის ბიუჯეტში — 158 პროცენტით, ადგილობრივ ბიუჯეტში — 3,6-ჯერ.

მაგრამ მდიდარი ის არის, ვინც მომჭირნეა. და ყოველდღე საქმეში საჭიროა კაპიკების თვლაც. იმის შედეგად, რომ ქალაქის მრეწველობაში 1000 მანეთის ღირებულების პროდუქციაში წინა 46 კაპიკს შეადგენს, ორი წლის მანძილზე ხარჯმა დაახლოებით 800 ათას მანეთს მიაღწია. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რაოდენ საჭიროა, რომ პროდუქციის ხარისხისადმი პასუხისმგებელი დამოკიდებულება გამოიჩინონ თვით მუშებმა, რომელთა შორის ასობით კაცი შრომობს პირადი დამღით. ამ მიმართულებით უნდა გააქტიურდეს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიის მონაწილეობაც.

საქმიანად გააკრიტიკეს ქალაქის მთელი რიგი საწარმოების, კერძოდ, ელექტროსამანქანო გამაძლიერებლების ქარხნისა და ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს პარტორგანიზაც

სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად

განვიხილავთ პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებს

ᲓᲘᲓᲘ დაინტერესებით და მხურვალე მოწონებით განიხილავენ ჩვენი რესპუბლიკის შრომითი კოლექტივები სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის

პარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის ბრძოლაში.

ძირითად მიმართულებათა პროექტით მეთორმეტე ხუთწლედისათვის განსაზღვრულია საერთოეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით სახალხო მეურნეობის ზრდის ჩქარი ტემპი. დავალებანი მიზნად ისახავენ წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერებას და ტექნიკური დონის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებას, რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, მეტი მნიშვნელობის მიღწევას სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობაში. გათვალისწინებულია მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, საბინაო და სოციალურ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის თანამიმდევრული განვითარება.

ლემის გადაჭრას მართვის ყველა რგოლში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინასწარი გამოანგარიშებით, სამრეწველო წარმოების ზრდის დასახული პროგრამის განხორციე-

შექმნება დიდი არასტანდარტიზებული მოწყობილობისა და დეტალსაგლინავი ქარხანა. ეს რესპუბლიკის ბევრ მანქანათსაშენებელ საწარმოს გაათავისუფლებს იმის საჭიროებისაგან, რომ თავისთან მოახდინონ სხვადასხვაგვარი აგრეგატებისა და დეტალების ძვირად ღირებული ინ-

ბლემა უკვე ახლანდელი თაობისათვის ხდება სულ უფრო აქტუალური. ამჟამად გამომუშავებული ენერგიის 90 პროცენტს ნავთობი, გაზი და ქვანახშირი უზრუნველყოფს. მაგრამ მათი დეფიციტი უკვე XXI საუკუნის

ბრთეული ენერგეტიკის განვითარებაზე. ამიტომ გადაწყდა, რომ საქართველოში დაიწყოს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. ამოქმედდება აგრეთვე პირველი აგრეგატები ხუდონის ჰიდროელექტროსადგურში. დასახულია თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის

ვასიონის მთავარი ქედის გავლით დაკავშირების საკითხი. ეს გზა თითქმის 1000 კილომეტრით შეამცირებს მანძილს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის. ხოლო მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზი დაიჩქა

პნევმოტრანსპორტი.

პარტიის აგრარული პოლიტიკის თანამედროვე კურსის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად რესპუბლიკაში შეიქმნა მძლავრი აგროსამრეწველო კომპლექსი, რომლის საქმიანობა მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების

რესპუბლიკის განვითარების მძლავრი ფაქტორი

მეთერთმეტე ხუთწლედი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა ჩვენთვის რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარების გზაზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ეროვნული შემოსავალი და ძირითადი საწარმოო ფონდები, სამრეწველო პროდუქციის გამოშვება, სოფლის მეურნეობის ძირითადი პრო-

დივიდუალური წარმოება და საშუალებას მისცემს მათ ღომოფხვრან შრომისა და სახსრების არაეკონომიური ხარჯვა.

პროექტში დიდმნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის განვითარების ღონისძიებებს. ამჟამად რესპუბლიკაში მოქმედებს ჩაის მრეწველობის მანქანებისა და მოწყობილობის გამოშვებაზე დასპეციალებული თბილისის ქარხანა და ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და სხვა ხასოფლო-სამეურნეო ტექ-

რეკონსტრუქცია. ყოველივე ეს შექმნის საიმედო ენერგეტიკულ ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკის პროდუქციის მოცულობის ზრდას.

შავი მეტალურგიის განვითარება რესპუბლიკის ინდუსტრიული ზრდის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მიმართულებად არის განსაზღვრული. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ნავარაუდებია მილსაგლინავი და საგლინავი დგანების რეკონსტრუქცია, ყველა შრომატევადი პროცესის ავტომატიზაცია კომპლექსი-

გეგმაზომიერ მატებას, მისი დაცვა-შენახვის, დროული გადამუშავებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფას. ძირითად მიმართულებათა პროექტმა დიდი და პასუხსაგები ამოცანა დაუსახა სოფლის მშრომელებს. იგი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობის გადიდებას 14-16 პროცენტით — ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების გაზრდას 1990 წელს 650 ათას ტონამდე, ხილის, კენკრისა და ციტრუსების — 1,1-1,4 მი-

შაობის ლაიტმოტივად უნდა იქცნენ, წარმოადგენს შემოქმედებითი შრომა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ინიციატივა და პასუხისმგებლობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მეთორმეტე ხუთწლედში და 2000 წლამდე პერიოდში ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი, მისი წვლილი სსრ კავშირის ეკონომიკაში კიდევ უფრო დიდი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

ზ. ჩხეიძე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე.

მედიკოსების დასახმარებლად





ათ წელზე მეტია სამედიცინო დაწესებულებებს ეფექტიანად ეხმარება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი.

ცენტრში ამუშავებენ მართვის ავტომატიზებულ სისტემებს, ნერგავენ გამოთვლით ტექნიკასა და მართვის ავტომატიზებულ სისტემას.

სურათებზე: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრის ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ოპერატორი ქეთინო ოტიაშვილი; სამანქანო დარბაზში ამუშავებენ ინფორმაციას.

მ. დათიკაშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ალმასვლის ლოგიკა

ნარკვევი

ნა ბილიკებით გაცლილი სოფელი. გაჩნდნენ ენთუზიასტები.

ნაკიანისაკენ მიმავალ ბილიკს ქვაღორღი როდი აკლდა. აჩაჩა ურმების ძველს გაჰყვა ბულდოზერი და ექსკავატორი.

ჯერ ჯვამე კვარაცხელიას კერიიდან ამოვიდა კვამლი — დაინთო მოყვასის გულის გამთბობი ცეცხლი. მერე მას სხვებიც შეუერთდნენ.

უნდა მოიხმაროს სულიერად ღარიბი იქნება.

ერთმა კაცმა შეიძლება უქკუროდ და დაუფიქრებლად ნაბიჯი გადადგას, ამით დიდად არა ევნის რა, მაგრამ საზოგადოდ ხელმრუდედ გაკეთებული საქმე საზოგადოდ სულში აჩენს ეკალსა და ნარს, რომლის ფესვსაც ავრე იოლად ვერ დაიხსნი, რომ მოძებნო, დიდი გონებრივი სინათლით გაშუქებული

არ მოიტანა სარგებელი. როგორც ჩანს, საქმე მარტო ადმინისტრაციული და ზოგიერთი სხვა ხარჯების შეკვეცაში არ იყო. პროგრესის წყარო თვითონ ეკონომიკიდან უნდა მომდინარეობდეს და თუ ქკვიანურად მივაგნებთ ამ წყაროს, რაც არ უნდა მცირე იყოს თავდაპირველად, თანდათან გაძლიერდება. შეიძლება დასაწყისი წამგებიანიც იყოს, მაგრამ კარგ პერსპექტივას ხედავდე! ასეთ შემთ

ნო მეურნეობა ხომ პირველი უნდა ყოფილიყო კავშირის მასშტაბით. ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა ჩანაფიქრი, შემოიყვანეთ 1200 სული თხა. თეთრი ქარავანი საოცარი სილამაზით ჩაეწერა ნაკიანის ლანდშაფტს.

მართლაც, მწვანე გორაკებზე შეფენილი მოძრავი თეთრი წერტილები თავისებურ ელფერსა და ლაზათს მატებენ აქაურობას. ამ მეურნეობის ხელმძღვანელებს ფარნაზი პაპავასა და ტიტიკო ყალიჩავას ლაპარაკი და გულის გახსნა არ უყვართო... მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მაშინ, როცა მეთხეობასა და ნაკიანს არ ეხება.

— თხის ათი სახეობიდან საქართველოში სამი გვხვდება. მეცნიერები მერძეულ ჯიშებს რომ დაასახელებენ — ტაგენბურგული, ანგორული, კაშმირული, რუსული და სხვა შიგ მეგრულსაც მოაყოლებენ... თხა საშუალოდ წელიწადში 450-550 კილოგრამ მეტად ნოყიერ, სასარგებლო რძეს გვაძლევს. მოზრდილი თხა 20-26 კილოგრამ ხორცს და 4-5 კილოგრამ ქონს იძლევა, ბოტის სახორცე წონა 60-65, ზოგჯერ 100 კილოგრამსაც კი აღწევს...

— ახლა გამრავლებას აღარ იკითხავთ? 100 დედა თხა 150-200 თიკანს შობს. ჩვენს სანაშენე მეურნეობას ახლა 2.450 სული თხა ჰყავს. წარმოიდგინეთ პერსპექტივაში ეს რამდენა შესაძლებლობაა?

— ყველაფერს რომ თავი დაანებო, ბუნება რა არის, ბატონო, სულიერი თუ არ ჰყავს? სოფელი რა არის ბატონო, უკაცოდ? ახლა უნდა გავუფრთხილ

ად ძნელია, ჩვენ თვითონაც რომ არ მივკვირვებინა?

ტიტიკო ყალიჩავას ამ მწარე კითხვას საქართველოში ბევრი, თითქოს უპერსპექტივო საქმის წაღმა შემობრუნებამ თავისთავად გასცა პასუხი. ამის დასტურია მრავალი აღდგენილი სოფელი და მათ შორის თვითონ ნაკიანიც.

ახლა ნაკიანს ისეთი გზატკეცილი აქვს, აქაური მეოცნებეც რომ ვერ წარმოიდგენდა. არქიტექტურულად გამართული ადმინისტრაციული შენობა, კლუბი, მაღაზია, თორმეტბინიანი საცხოვრებელი სახლი, ბაგა-ბაღი. სოკოებივით მრავლდება სახლები, ენერგიულად იზრდება, ახალგაზრდავდება სოფელი.

ნაკიანის მომავალი ხომ ახალგაზრდობის ხელშია, რომელთაც თვალი გაქცევაზე როდი. უჭირავთ. სოფელი კიდევ უფრო ძლიერი გახდება. გაივლის დრო და ცხოვრების აღმართს ამოივაკებს გოჩა, ფრიდონი, ბექანი, რამაზი, რომანი, მამუკა, ელვარდი, მალხაზი, ვინარი, ბოჩო, დელანო, ლევანი — ქუჩა ჰეჟიას თორმეტი ვაჟი, რომელთაგან უმცროსი ახლა ცხრა წლის არის. მაშინ... მაშინ სულ ცოტა ორმოცდაათი, სამოცი კაცი მაინც შეემატება, ნაკიანს; ასე ფიქრობენ მუყაითი, გამრჯე ხალხი ჰეჟიები. მათ სხვაც ბევრი ჰყავს მიმბაძველი.

მერე კიდევ უფრო აღმა გაემართება შრომის ოფლით მოკირწყლული გზა და ეს არ არის გამონაკლისი. სოფელ ნაკიანის ამ აღმასვლაში ნათლად ჩანს მთელი ჩვენი საბჭოური ცხოვრების წესის ლოგიკა.

ვ. მარუაშვილი.

კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

„კომუნისტის“ უპასუხებს

თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომი

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის წლევანდელი 6 სექტემბრის ნომრის მოწინავე სტატიაში „ზამთარი მალე დადგება“ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ორჯონიკიძის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტმა წლების მანძილზე ვერ უზრუნველყო ვაჟა-ფშაველას პროსპექტის პირველ კვარტალში მდებარე საცხოვრებელ სახლში წყალგამტარი ქსელების მოწესრიგება-შეკეთება. ამის გამო ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. აბალიანი რედაქციას სწერს:

გაცნობებთ, რომ ვაჟა-ფშაველას პროსპექტის პირველი კვარტალის მე-4 კორპუსი, რომელზეც ლაპარაკია „კომუნისტის“ სტატიაში, 1964 წელს აშენდა „თბილისქალაქპროექტის“ პროექტით და არ არის გათვალისწინებული ტექნიკური სარდაფის მოწყობა, შენობის წყალგამტარი კომუნიკაციები განლაგებულია შენობის მიწისქვეშა არხებში. ამის გამო საჭიროების შემთხვევაში გაძნელებულია კომუნიკაციებთან მიდგომა, აღდგენითი სამუშაოების შესრულება და საერთოდ სწორი ექსპლოატაცია.

ორჯონიკიძის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტმა ჯერ კიდევ 1981 წელს მიმართა საპროექტო კანტორა „საქზინრემპროექტს“ და სთხოვა წყალგამტარი კომუნიკაციების ქსელებთან მიდგომის გაადვილების მიზნით სათანადო სამუშაოთა შესასრულებლად ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა. მაგრამ მიუხედავად არაერთი შეხსენებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჩარევისა, სხვადასხვაგვარი ტექნიკური სირთულეების გამო საპროექტო კანტორამ 1985 წლამდე ვერც საკითხი გადაწყვიტა და ვერც პროექტი დაამუშავა.

ტექნიკური დოკუმენტაციის მიღების შემდეგ რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტმა იგი გადაუგზავნა შემსრულებელს — თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სპეციალიზებულ სარემონტო-სამშენებლო ტრესტს, რომელსაც სამუშაოების შესრულება გათვალისწინებული აქვს მიმდინარე წლის გეგმით. მაგრამ ტექნიკური სირთულეების და საჭირო მასალების ნაკლებობის გამო საქმის დაწყება დღემდე ვერ შეძლო.

ამ საკითხის გამო რაისაბჭოს აღმასკომს დაწესებული აქვს სისტემატური კონტროლი და ყველაფერს იღონებს სამუშაოთა შესასრულებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა სსრ კავშირის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ევგენი ივანეს ძე **სიზენკო** სსრ კავშირის მინისტრად.

„კომუნისტის“ რეიდი

ბაზარს მეტი ყურადღება სჭირდება

საკოლმეურნეო ბაზარზე ვაჭრობის ახალი წესების შემოღებამ ბევრ უდისციპლინობას მოუღო ბოლო, საფუძველი გამოაცალა სპეკულანტთა ხეტიალს, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული რეციდივები, ბაზრის გვერდის ავლით ვაჭრობის ფაქტები მაინც გვხვდება. აი, მაგალითად, ხელვაჩაურის რაიონის აჭარისწყლის მცხოვრებლებს ნ. გვიანიძეს და შ. გოგიტიძეს ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში ჩამოერეკათ თხა და ცხვარი და ყოველგვარი საბუთის გარეშე ყიდდნენ. ეს ერთეული შემთხვევა როდია. ხალას კოლმეურნეობის მესვეურებმა ასეთ მოხეტიალე გამყიდველებს სოფლის ცენტრში ვაჭრობის უფლება რომ არ მისცეს, კარდაკარ დაიწყეს ჩამოტარება. რეიდის მონაწილეები ანალოგიურ მდგომარეობას წააწყდნენ სოფელ აჭყვაში. იქ ნიგაზეულელი გ. ხიმშიაშვილი და ირემაძელი ს. ირემაძე ყიდდნენ პირუტყვს.

ბათუმისა და ქობულეთის ბაზრებში ბოლო ხანს დირექციებმა, მილიციის რწმუნებულებმა და რეიდის მონაწილეებმა გამოავლინეს სპეკულაციის მრავალი შემთხვევა. ცნობის უქონლობის გამო ბაზარში არ დაუშვეს 83 კაცი. 63 შემთხვევაში შეკითხვა გაგზავნეს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასე, მაგალითად, ეჭვი გამოიწვია წყალტუბოს რაიონის სოფელ მესხეთის მცხოვრებმა შ. შალამბერიძემ, ბოლნისელმა რ. ბუტაშვილმა და სხვებმა, რომლებსაც წესრიგში არ ჰქონდათ საბუთები. ამიტომაც ბათუმის ბაზრის დირექციამ შეკითხვა კი გაგზავნა მათი ვინაობის დასადგენად, მაგრამ იქაურ ადგილობრივი საბჭოების მესვეურთ პასუხისათვის თავი არ შეუწუხებიათ.

ბაზარში სხვა კურიოზებსაც ვაწყდებით. ზოგჯერ სიყალბეა უნიფიცირებული ცნობების გაცემაში. ბაზარზე პროდუქციის გასატანად ერთჯერად მოქალაქეს 7 დღემდე ეძლევა. ხელვაჩაურის რაიონის ანგისის მცხოვრებ ე. საჯარიძეს, რომელიც ბოსტნეულს ყიდდა, ორი ცნობა ედო ჯიბეში. ამ გზით იგი ორ კვირაზე მეტი დარჩა ბაზარში. ასევე, ხულოს რაიონის დიოკნისის მკვიდრს ხ. კახაძეს, მარნეულელ ნ. გაჯიევს, ცხინვალელ ქრ. ბასილაშვილსა და სხვებს აღებული ჰქონდათ ორ-ორი ცნობა. სასოფლო საბჭოების აღმასკომების და კოლმეურნეობათა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი ასე აყალბებს ზემდგომი ორგანოების მიერ დადგენილ წესს და ხელს უწყობს უქნარა და ბაზარს გადაყოლილ მოქალაქეებს ხანგრძლივად მოწყდნენ საკოლმეურნეო საქმეს.

ბაზარში წააწყდებით მრავალგვარ უხერხულობას. მაგალითად, ცნობა გაცემულია ქმარზე, დახლში დგას ცოლი, ან პირიქით. გამყიდველი, ჩვეულებრივ, სასწორის გამოტანის დროს პასპორტს ტოვებს. ასეთ შემთხვევაში ძნელი დასადგენი ხდება დახლთან მდგომი მოქალაქის ვინაობა. ყოველივე ეს ადვილად მოსაგვარებელი საკითხებია, ოღონდ გულისხმიერება და ყურადღება სჭირდება.

ქობულეთისა და ბათუმის ბაზრებში შექმნილია მომსახურების ბიუროები. გლეხს, რომელსაც არ სურს დახლში ჩადგეს, შეუძლია პროდუქტი იქვე ჩააბაროს და საზღაურიც მაშინვე მიიღოს. ჩვენი აზრით, იმას, ვინც პროდუქტს მომსახურების ბიუროს ჩააბარებს, ცნობა არც უნდა მოეთხოვოს. ასეთ ბიუროებს მეტი გასაქანი უნდა მიეცეთ და ბაზარში ყველაზე მოხერხებულ ადგილას უნდა დამკვიდრდნენ. ბათუმის ბაზარში ბიუროს ვიტრინიანი, თაროებიანი, მაღაზიის ტიპის სავაჭრო პუნქტი გამოუყვეს, მხოლოდ ეს არის, რომ სასაწყობო მეურნეობა არ ჰყოფნით. ქობულეთის ბაზარში კი მომსახურების ბიუროს მიგდებულ, მოუხერხებელ ადგილას აქვს გამოყოფილი კუთხე. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ბიუროს მეტი დახმარება სჭირდება.

ბათუმის ბაზრის ხელმძღვანელობას ხელშეკრულებები გაუფორმებია კოლმეურნეობებთან, მაგრამ ყველა მეურნეობა როდი ცდილობს ვალდებულება შეასრულოს. მაგალითად, ქედის რაიონის მერისის კოლმეურნეობამ დათქმულის მხოლოდ ნახევარი ჩამოიტანა გასაყიდად, ხულოს რაიონის ოქტომბრის კოლმეურნეობამ ბაზარს დააკლო 1500 კილოგრამი ხორცი, 1000 ფრთა ქათამი. მექეიძეების კოლმეურნეობამ შეპირებული არც ხორცი ჩამოიტანა, არც ქათამი.

ისიც აღსანიშნავია, რომ მომხმარებელს, ქალაქის მოსახლეობას კონკურენციას უწევენ რესტორნები და კოოპვაჭრობები. ისინი თავს არ იწუხებენ, რომ ორგანიზაციებს შეუთანხმდნენ და მათგან შეისყიდონ პროდუქცია. ქორვაჭრებივით დილით ბაზრების შესასვლელში ხვდებიან გამყიდველებს და პროდუქცია დიდი რაოდენობით მიაქვთ. ვფიქრობთ, ეს საკითხი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს და მომხმარებლის სასარგებლოდ გადაწყდეს.

არის სხვა პრობლემებიც. ურიგო არ იქნება, ბაზარში მაღაზიის ტიპის სავაჭრო ადგილები გამოეყოთ იმ საზოგადოებრივ მეურნეობებს, რომლებიც ორგანიზებული წესით დიდი რაოდენობით ჩამოიტანენ პროდუქტებს. ამაში ბაზრის მესვეურებმა მეტად უნდა შეიწუხონ თავი. სხვა რესპუბლიკიდან ჩამოსულმა მოქალაქეებმა შემოგვჩივლეს, მილიციის და ბაზრის ზოგიერთი მუშაკი უნიფიცირებულ ცნობებს გვთხოვენო. თუ მათ იმის დამადასტურებელი ცნობა აქვთ, რომ სოფლად ცხოვრობენ და პროდუქტი მათია, ვაჭრობის ახალი წესები არ ითვალისწინებს მათს შეზღუდვას. ხელოვნური სიძნელეების შექმნას კარგი არაფერი მოაქვს.

და კიდევ ერთი საკითხი. ბათუმის მოსახლეობა გაიზარდა, ქალაქმა ფრთები გაშალა. ამიტომ ქალაქის სამრეწველო რაიონში მეორე ბაზარია საჭირო. და ეს ამთავითვე თუ არ დაიგეგმა, სანამ იგი აშენდება, დიდი დრო გამოხდება. ახლანდელ ბაზარში, განსაკუთრებით საკურორტო სეზონში, კაცი კაცს გვერდს ვერ აუქცევს და ვისაც ადგილი ვერ უპოვია, ქუჩაში შლის დახლს. საქმეს დროული მიხედვა სჭირდება.

რეიდის მონაწილენი: **რ. აბულაძე — ქობულეთის რაიონის გაზეთ „ლენინელის“ რედაქტორი, ბ. ჩხარტიშვილი — ბათუმის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის ინსპექტორი, რ. ოქროპირიძე — ქობულეთის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი, ხ. სხვიტარიძე — აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს უფროსი ინსპექტორი, მ. გორგილაძე — „კომუნისტის“ საკ. კორ.**

იუგოსლავიის ხალხთა დღესასწაულის აღსანიშნავად

28 ნოემბერს თბილისის კინოს სახლში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა იუგოსლავიის რესპუბლიკის გამოცხადების 40 წლისთავს.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ვ. ასათიანის მოხსენებაში, რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მოწინავე მუშის გ. გოგოლაძის, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ნ. მგალობლიშვილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის ი. ნაცვლიშვილის გამოსვლებში აღინიშნა, რომ იუგოსლავიის რესპუბლიკის გამოცხადება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა მოძმე ხალხის ისტორიაში.

მადლიერების სიტყვებით მიმართა დამსწრეთ ლუბლიანის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც პრისტოვშეკმა.

კრების მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს.

კრებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე პ. ჩხეიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

სოციალისტურ ქვეყნებში

პოლონეთი

დიდი კონტრაქტი

ვარშავა. სსრ კავშირში ტრანსფორმატორებისა და სხვა ელექტრომოწყობილობის მიწოდების დიდ კონტრაქტს მოაწერეს ხელი ვარშავაში საბჭოთა საგარეო ვაჭრობის გაერთიანება „მაშპრიბორინტორგისა“ — „მანქანაექსპორტისა და პოლონეთის ფირმის „ელექტრიმის“ წარმომადგენლებმა.

1986 წელს საბჭოთა შემკვეთები მიიღებენ 40 მილიონი მანეთის თანამედროვე დიდმწარმოებლურ ტექნიკას. „ელექტრიმის“ მარკიანი მანქანები და აგრეგატები დიდი ხანია კარგად არის ცნობილი სსრ კავშირში მუშაობის საიმედოობითა და ჩინებული ხარისხით. საბჭოთა კავშირი ფირმის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია, რომლის წილად მოდის „ელექტრიმის“ მთელი ექსპორტის 35 პროცენტი.

უნგრეთი

„ფეკონის“ მარკით

ბუდაპეშტი. გაისად მნიშვნელოვნად გაფართოვდება საბჭოთა კავშირში უნგრეთის სამკერვალო გაერთიანება „ფეკონის“ მარკიანი ქალის მზა ტანსაცმლის მიწოდება.

ქალის ბლუზები, კოსტიუმები, კაბები და ამ საწარმოს საფირმო ნიშნიანი სხვა ნაწარმი საბჭოთა მყიდველს დიდად მოსწონს. საბჭოთა პარტნიორების მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით ამჟამად გაერთიანებაში მიმდინარეობს წარმოების ფართო რეკონსტრუქცია. დგამენ ახალ დიდმწარმოებლურ მოწყობილობას, რაც „ფეკონის“ მუშათა კოლექტივს საშუალებას მისცემს არა მარტო გააუმჯობესოს საბჭოთა შემკვეთებისათვის შეთავაზებული პროდუქციის ხარისხი, არამედ უფრო ოპერატიულადაც გამოეხმაუროს მოდის ცვლილებებს, სწრაფად აითვისოს ახალი მოდელის ტანსაცმლის გამოშვება. გეგმის თანახმად, უკვე გაისად „ფეკონის“ სამკერვალო საამქროებიდან საბჭოთა კავშირში გაგზავნიან 200 ათას მოდურ ნაწარმს.

რუმინეთი

კონსტანცის ახალი ტანკერი

ბუქარესტი. კონსტანცის გემთსაშენში წყალში ჩაუშვეს ტანკერი „პრახოვა“, რომლის წყალწყვა 85 ათასი ტონაა.

ამ გემის აგებისას, რომლის სიგრძე 230 და სიგანე 43 მეტრია, ხოლო სიმაღლე — 19 მეტრი, რუმინელმა გემთმშენებლებმა ფართოდ გამოიყენეს საბჭოთა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გემთმშენებლებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით შეძენილი გამოცდილება. ამის შედეგად ახალი ტანკერი რეკორდულ ვადაში — 150 დღეში ააგეს.

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საზღვაო-სავაჭრო ფლოტის ტვირთამწეობა ბოლო ხუთწლედის მანძილზე თითქმის ერთიორად გაიზარდა და დღეისათვის დაახლოებით 5 მილიონ ტონას შეადგენს.

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

30 ნოემბერი ● საკდესი იუწყება

სოციალური პროგრესისათვის

გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა მნიშვნელოვანი რეზოლუცია

ნიუ-იორკი. ყველა ხალხის სუვერენული და ხელშეუვალი უფლება — თავისუფლად განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური სტატუსი, განახორციელონ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება — დადასტურებულია რეზოლუციაში „ეროვნული გამოცდილება სოციალური პროგრესის მიზნით ძირეული სოციალური და ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელების დარგში“, რომელიც მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ.

დოკუმენტი, რომლის პროექტიც წამოაყენეს სოციალისტურმა და განვითარებადმა ქვეყნებმა, შეიცავს მოწოდებას ყველა სახელმწიფოსადმი, თავიანთი ეროვნული განვითარების გეგმებსა და პროგრამებში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ სოციალურ ასპექტებს, რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის კეთილდღეობა განვითარების პროცესში მისი სრული მონაწილეობის, დოვლათის სამართლიანი განაწილების საფუძველზე.

რეზოლუციას მხარი დაუჭირა 133 სახელმწიფომ. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ხმა მისცა წინააღმდეგ, იყო ამერიკის შეერთებული შტატები.

ყველა ქვეყნის, კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური პროგრესისათვის ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები, ხაზგასმულია რეზოლუციაში, — ეს არის მშვიდობიანი თანაარსებობა და ეფექტიანი ღონისძიებანი განიარაღების დარგში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საჭიროა ხალხთა ეკონომიკური და სოციალური პროგრესის გზაზე დაბრკოლებების — კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის, რასიზმის, აპარტეიდის, სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერვენციის, უთანასწორობისა და ხალხთა ექსპლოატაციის ყველანაირი ფორმის უსწრაფესი და სრული ლიკვიდაცია.

კარიკატურისტის თვალით

აპარტეიდის წინააღმდეგ ბრძოლამ ამჟამად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენა მოიცვა. მასში აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდობა, მუშები, გლეხები, ქალები, რელიგიური მოღვაწენი. აღსანიშნავია, რომ ბრძოლაში ჩაება თეთრკანიანი მოსახლეობის ნაწილიც, რომელიც დემოკრატიული რეჟიმის დამყარებას მოითხოვს. (სამხრეთ აფრიკის აფრიკული ეროვნული კონგრესის გენერალური მდივნის ა. ნზოს მიერ გაზეთ „ელ-მუჯაჰიდისათვის“ მიცემული ინტერვიუდან).

აღიკვეთოს აპარტეიდი!

ნახატი გაზეთ „დეილი უორლდიდან“.

◆ ბელგია

შეიქმნა ახალი მთავრობა

ბრიუსელი. აქ გამოაცხადეს ბელგიის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც შეიქმნა უწინდელი მთავრობის კოალიციაში შემავალი ოთხი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისაგან.

ახალი კაბინეტი, რომელიც ჩამოყალიბდა 13 ოქტომბერს გამართული რიგგარეშე პარლამენტის არჩევნების შედეგების მიხედვით, შემადგენლობით ბევრად არ განსხვავდება წინანდელი კაბინეტისაგან. მთავრობას კვლავ სათავეში ჩაუდგა ქრისტიანული სახალხო პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვილფრიდ მარტენსი, რომელიც პრემიერ-მინისტრი იყო ბოლო ოთხი წლის განმავლობაში. საგარეო ურთიერთობის მინისტრის პოსტი შეინარჩუნა ლეო ტინდემანსმა. ეროვნული თავდაცვის მინისტრის პორტფელი მიიღო ფრანსუა-სავიე დე დონეამ.

◆ განა

გააძევეს ამერიკელი დიპლომატები

აკრა. განის ეროვნული თავდაცვის დროებითმა საბჭომ გამოაცხადა, რომ ქვეყნიდან გააძევეს ამერიკის შეერთებული შტატების აკრის საელჩოს ოთხი თანამშრომელი.

ამერიკელი დიპლომატები, აღნიშნა ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მდივანმა ო. ასამოამ, ეწეოდნენ სრულიად მიუღებელ საქმიანობას, რომელიც ეწინააღმდეგება ნორმალური ურთიერთობის განვითარებას განასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. აქ აღნიშნავენ, რომ ორი გაძევებული ამერიკელი — ვინმე ბ. დინკეფტი და ვუდჰაუსი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლები არიან. ქვეყანას დატოვებს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს (იუსია) ადგილობრივი განყოფილების ხელმძღვანელი ა. გარუჩი. როგორც ცნობილია, ამ პროპაგანდისტული უწყების წარმომადგენლობას იფრიკაში იყენებენ ამერიკის სპეცსამსახურების საქმიანობის შესანიღბავად.

◆ მოზამბიკი

გაანადგურეს ტერორისტები

მაპუტუ. მოზამბიკის განთავისუფლების სახალხო ძალების ქვეგანაყოფებმა გუროს რაიონში (მანიკას პროვინცია) გაანადგურეს 28 ტერორისტი. რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისა და დასავლეთის ქვეყნების სპეცსამსახურების კმაყოფაზე მყოფი — ეგრეთ წოდებული მოზამბიკის ეროვნული წინააღმდეგობის წევრები, ბანდიტები, წერს გაზეთი „ნოტისიაში“, ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ დაბა მუნგარი. ტერორისტთა თავდასხმა მოიგერიეს. რასისტთა დაქირავებულებმა, რომლებმაც გაქცევით უშველეს თავს, ბრძოლის ველზე დატოვეს დასავლეთის წარმოების დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი.

ლიბანი: არსებობს თუ არა გონივრული ალტერნატივა?

ამ რამდენიმე დღის წინათ ლიბანელმა ხალხმა აღნიშნა რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — დამოუკიდებლობის დღე. მაგრამ აი უკვე მეხუთე წელია საზეიმო განწყობილებას ჩრდილავს ისრაელისა და თვით ლიბანის რეაქციული ძალების ხრიკების შედეგად შექმნილი რთული ვითარება.

თუმცა ლიბანის სხვადასხვა რაიონებში გრძელდება ლოკალური სამხედრო შეტაკება, მეტი წილი სპეციალისტებისა და მიმომხილველების აზრით, დადგა პერიოდი, როდესაც ლიბანის რელიგიურ-პოლიტიკურმა და სამხედრო დაჯგუფებებმა დაიწყეს ისეთი პოლიტიკური პლატფორმის ძიება, რომელიც საშუალებას იძლევა დაიწყონ მოლაპარაკება კრიზისიდან თავის დასაღწევად. აღსანიშნავია, რომ ეს კომპრომისული შეთანხმების მიღწევის პირველი ცდა არ გახლავთ.

1983 წლის ჟენევისა და 1984 წლის ლოზანის ეროვნული დაზავების კონფერენციების წინ მათ შეძლეს შეექმნათ ეგრეთ წოდებული „სამუშაო დოკუმენტები“, რომლებიც გარკვეული ცვლილებების შემდეგ 1984 წელს შექმნილი ეროვნული ერთიანობის მთავრობის პროგრამად იქცა. თუმცა რაშიდ კარამეს მთავრობამ მთლიანად ვერ განახორციელა ზემოხსენებულ კონფერენციებზე მიღებული გადაწყვეტილებანი, ვინაიდან მემარჯვენე-ქრისტიანული პარტია კატაიბი ყოველმხრივ ცდილობდა ხელი შეეშალა გარდაქმნებისათვის, რომლებიც თითქოსდა ზღუდავდა ლიბანელი ქრისტიანებისა და უპირველესად მარონიტების უფლებებს. ფალანგისტები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ისრაელთან, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა ქვეყნის ტერიტორიის ერთი მეოთხედი. ობსტრუქციონისტული პოზიცია ეკავათ ეგრეთ წოდებულ „ლიბანის ძალებსაც“, რომლებიც ფაქტობრივად მემარჯვენე ქრისტიანული ძალების გაერთიანებულ სამხედრო ორგანიზაციას წარმოადგენენ.

წლეულს მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, რაც უწინარესად ლიბანის პატრიოტული ძალების გმირული ბრძოლის შედეგია. ისრაელი იძულებული გახდა გაეყვანა ჯარები ბეჟას დაბლობიდან და სამხრეთ ლიბანის მნიშვნელოვანი ნაწილიდან. გარკვეული როლი შეასრულა აგრეთვე თვით „ლიბანის ძალებში“ მომხდარმა ცვლილებებმა. ამა წლის მარტში ორგანიზაციას სათავეში ჩაუდგა დაჯგუფება, რომელიც გაემიჯნა კატაიბის პარტიას, ხოლო მაისში ხელმძღვანელობას ჩამოაშორეს უკიდურესად ექსტრემისტულად განწყობილი პირები. ახალმა ხელმძღვანელობამ „ლიბანის ძალების“ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ი. ჰობეიკას მეთაურობით განაცხადა, რომ გაწყვეტდა კავშირს ისრაელთან და პატრიოტულ ძალებთან თანამშრომლობის რეალისტურ კურსს დაადგებოდა. ამრიგად, ეგრეთ წოდებული ისრაელის ფაქტორის შესუსტებამ, ლიბანელი ხალხის ბრძოლაში მეზობელი სირიის როლის ცნობამ და პატრიოტული ძალების პოზიციების განმტკიცებამ შექმნა პირობები პოლიტიკური დიალოგისათვის.

მხარეები სულ უფრო ხშირად აღიარებენ, რომ შეუძლებელია ვითარების მოწესრიგება შეიარაღებული ბრძოლის გზით.

1985 წლის 6 აგვისტოს ლიბანის ქალაქ შტორაში გამართულ დამფუძნებელ სხდომაზე შეიქმნა ეროვნული კავშირის ფრონტი, რომელშიც გაერთიანდნენ ლიბანის პროგრესულ-სოციალისტური პარტია, „ამალის“ პარტია, ლიბანის კომპარტია, არაბული სოციალისტური აღორძინების პარტია და სხვა ორგანიზაციები. სწორედ ამ სხდომაზე მიიღეს პროგრამა, რომელიც ქვეყნის პატრიოტული ძალების პროგრამად იქცა და ითვალისწინებს ძირეულ გარდაქმნებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მიზნად ისახავს ლიბანის წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტას, რაც მთავარია, ქვეყნის სრულ განთავისუფლებას ისრაელის ოკუპაციისაგან.

მემარჯვენე-ქრისტიანული ძალების მიერ წამოყენებული მრავალი პროექტის საწინააღმდეგოდ, რომლებიც ქვეყნის დანაწევრებას და მისი ერთიანობის ლიკვიდაციას ითვალისწინებენ, პროგრამა მოითხოვს ლიბანის ერთიანობის განმტკიცებას, კონფესიული დანაწევრების ყველა ფორმის უარყოფას და აცხადებს, რომ „ლიბანის ერთიანობა შეუთავსებელია პოლიტიკური დეცენტრალიზაციის იდეებთან როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური განვითარების სფეროში“. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ლიბანის როლის პრობლემას არაბულ სამყაროში. უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ხნის მანძილზე მემარჯვენეთა იდეოლოგები ამტკიცებდნენ, თითქოს ლიბანი ისტორიულად უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული „ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციასთან“, ვიდრე არაბულთან და ამგვარი თეორიების საშუალებით ცდილობდნენ გაემართლებინათ ცალმხრივი ორიენტაცია დასავლეთისა და ისრაელზე. ეროვნული კავშირის ფრონტის პროგრამა კი მტკიცედ აცხადებს, რომ „ლიბანის არაბული ხასიათი უცილობელი ჭეშმარიტებაა. განმათავისუფლებელმა ბრძოლამ სიონისტი მტრის წინააღმდეგ საბოლოოდ გადაჭრა ეს საკითხი და სახელმწიფომ უნდა ასახოს ეს რეალობანი თავის საკანონმდებლო აქტებში“.

დოკუმენტი ითვალისწინებს ლიბანში დემოკრატიული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას მთელი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით და სახელმწიფო აპარატში, არმიაში, სასამართლო და პოლიტიკურ ორგანოებში კონფესიონალური სისტემის გაუქმების გზით. ფრონტის წევრების ღრმა რწმენით, მომავალში დამოუკიდებელმა ლიბანმა უნდა განახორციელოს ეროვნულ-პატრიოტული კურსი, რომელიც უარყოფს კოლონიურ დამოკიდებულებას.

რით უპასუხეს მემარჯვენე-ქრისტიანულმა დაჯგუფებებმა პატრიოტული ძალების წინადადებებს? აღსანიშნავია, რომ ბოლო ხანს მათ მხოლოდ ერთი პროექტი წამოაყენეს, რომლის ავტორია ლიბანის ყოფილი პრეზიდენტი ს. ფრანჟიე. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ, მართალია, მასში ასახულია ეროვნული კავშირის ფრონტის პროგრამის ზოგიერთი დებულება, მაგრამ არსებული რეჟიმის გარდაქმნის გეგმა წარმოდგენილია აშკარად რეფორმისტული პოზიციებიდან. მაგალითად, ფრანჟიეს სურს, რომ შეინარჩუნონ სახელმწიფო მმართველობის ძირითადი პოსტების განაწილების ამჟამად არსებული სისტემა, პარლამენტსა და მთავრობაში ქრისტიანებისა და მაჰმადიანების თანაბარი წარმომადგენლობა და სხვა. ეს კი ფაქტობრივად ძველი მდგომარეობის შენარჩუნებას ნიშნავს. საერთოდ მემარჯვენე-ქრისტიანულ დაჯგუფებათა ძირითადმა წარმომადგენლებმა — კატაიბის პარტიამ და „ლიბანის ძალებმა“ ჯერ კიდევ ვერ წამოაყენეს კრიზისის მოწესრიგების კონკრეტული წინადადებები, თუმცა აცხადებენ, ისინი შემუშავების პროცესშიაო. რაც შეეხება ლიბანის პრეზიდენტ ამინ ჟმაიელს, მიმომხილველების აზრით, იგი ერთგვარი „არბიტრის“ როლს ასრულებს მხარეებს შორის. ამა წლის 22 სექტემბერს ლიბანის ტელევიზიით გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ „მზად არის უპასუხოს ამჟამად არსებულ ყველა პროექტს, რადგან ქვეყანაში მიმდინარეობს საერთო პოზიციის ძიება“.

ცხადია, ზემოაღნიშნული პროექტები გამოხატავს ლიბანის სხვადასხვა პოლიტიკური წრეების მისწრაფებას მოაწესრიგონ ქვეყანაში არსებული კრიზი, მაგრამ, როგორც სირიის გაზეთი „ალ-ბაასი“ აღნიშნავდა, „სწრაფი მოწესრიგების მიღწევა მეტად რთულია, ვინაიდან ხანგრძლივმა ომმა ქვეყანას მძიმე დაღი დაასვა“. საჭიროა დრო, რათა ცალკეულ დაჯგუფებებს შორის აღდგეს ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ამა წლის ივლისში ლიბანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, რომ „კვლავ შეიქმნა რელიგიურ-ჯგუფური და სექტანტური ტენდენციების აღორძინების საფრთხე“.

საშინაო პრობლემების გარდა მდგომარეობის ნორმალიზებას მნიშვნელოვნად აფერხებს ისრაელის ძირგამომთხრელი საქმიანობაც, რომელსაც ხელს არ აძლევს ერთიანი და სტაბილური ლიბანის არსებობა. ამას წინათ ლიბანში არსებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროებითი ძალების წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელობამ გააძლიერა ზეგავლენა ქვეყნის ოკუპირებული ნაწილის მოსახლეობაზე მარიონეტული „ისრაელის სამხრეთის არმიის“ ძალებში მისი ჩაბმის მიზნით, რომლებსაც ლიბანის არმიის ყოფილი ოფიცერი ლაჰადი მეთაურობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ლიბანელი ხალხი და მსოფლიოს პროგრესული ძალები იმედოვნებენ, რომ კრიზისიდან თავის დაღწევის გზების ძიება ხელს შეუწყობს იმ დემოკრატიული ალტერნატივის შემუშავებას, ურომლისოდაც შეუძლებელია ქვეყნის მშვიდობიანი და დამოუკიდებელი განვითარება.

კ. ულენტი.

საინტერესო პროექტები

ლა-მანში: გვირაბი თუ ხიდი?

„გაიყვანენ თუ არა გვირაბს ლა-მანშის ქვეშ?“, „იყოს თუ არა გვირაბი?“, „გვირაბი თუ ხიდი?“ — სტატიები ასეთი სათაურებით პერიოდულად იბეჭდებოდა პრესაში. ამტკიცებენ, რომ პირველად ლა-მანშის სრუტის ქვეშ საფრანგეთსა და ინგლისს შორის გვირაბის მშენებლობის იდეა ნაპოლეონმა გამოთქვა.

„საგვირაბო ციებ-ცხელებამ“ ახალი ძალით იფეთქა რამდენიმე წლის წინათ. საფრანგეთ-ბრიტანეთის კომპეტენტური ჯგუფის განსახილველად წარადგინეს პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდნენ მშენებლობის სხვადასხვა ვარიანტს: კიდულ ხიდს, გვირაბის გაყვანას ფსკერზე ან სრუტის ფსკერის ქვეშ, გვირაბიანი ხიდის აგებას და სხვ.

ამჟამად ორი ქვეყნის ექსპერტები აპირებენ განიხილონ ოთხი პროექტი, რომლებიც ერთობლივად შექმნეს ფრანგმა და ინგლისელმა სპეციალისტებმა. მომავალი წლის დამდეგს საფრანგეთი და ინგლისი მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხზე. დაგეგმილია, რომ მშენებლობა დაიწყოს 1986 წელს და დამთავრდეს 1993 წელს.

ამჟამად წარდგენილი პროექტების ავტორები სხვადასხვაგვარ ტექნიკურ გადაწყვეტებს სთავაზობენ. მაგალითად, „ფრანს-მანშისა“ და „ჩენელ-ტანელ კომპანის“ კომპანიები აყენებენ წინადადებას აიგოს ორი სარკინიგზო გვირაბი, რომლებითაც ივლიან სამგზავრო მატარებლები და სპეციალური შემადგენლობანი ავტომანქანების გადასატანად. თითოეული გვირაბის სიგრძე უნდა იყოს 50 კილომეტრი, ხოლო ლამანშის ფსკერის ქვეშ გაყვანილი უბნების სიგრძე — 37 კილომეტრი.

„ევრო-რუტის“ პროექტი (სურათზე) ითვალისწინებს სრუტეში 37 კილომეტრი სიგრძის გვირაბ-ხიდის აგებას.

ინგლისის „სილინკის“ კომპანიის მიერ თითქმის ბოლო წუთს წარდგენილი პროექტი ითვალისწინებს თითოეული 50 კილომეტრი სიგრძის ორი საავტომობილო გვირაბის მშენებლობას.

მეოთხე პროექტის ავტორებმა უარი თქვეს გვირაბის გაყვანის იდეაზე და სრუტეზე ჩვეულებრივი საავტომობილო ხიდის მშენებლობის წინადადებით შემოიფარგლნენ.

მაშ ასე, გვირაბი თუ ხიდი?



დიდი არტისტიზმის მონატრება

ვასო გოძიაშვილის დაბადების 80 წლისთავის გამო

ქართულ თეატრს ჰყავდა თავისი დიდი არტისტული თანავარსკვლავედი. მსოფლიოს ნებისმიერ საუკეთესო თეატრს დაამშვენებდა თითოეული მათგანი. მათ ოციან წლებში ჩაუყარეს ქართულ საბჭოთა თეატრს საფუძველი და დიდი ხნით განსაზღვრეს ეროვნული სამსახიობო ხელოვნების დონე. იმ თანავარსკვლავედში მაინც სულ სხვაგვარი ელვარებით გამოირჩეოდა ვასო გოძიაშვილი. ის, როგორც იტყვიან, თავით ფეხამდე არტისტი იყო, გამორჩეული სცენაზე და ცხოვრებაშიც. სადაც უნდა ყოფილიყო, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა ხოლმე თავისი მომხიბვლელობის გამო. მას შეეძლო ჩვეულებრივი ყოფითი ურთიერთობაც კი არტისტულ ფორმად გარდაექმნა, საგნებისა თუ მოვლენებისათვის გამორჩეული ელვარება მიენიჭებინა. იმპროვიზაციული წარმოსახვის უბადლო ნიჭი ჰქონდა. მთელი მისი სამყარო თითქოს განასახიერებდა თავისებურ თეატრს, სადაც ერთმანეთის გვერდით ბუნებრივად თანაარსებობდა ელეგანტური ჯენტლმენი არმან დიუვალი („მარგარიტა გოტიე“), ბრძენი მოხუცი ბესო („ღალატი“) და გაქსუებული ლუარსაბ თათქარიძე. მისი აქტიორული სალებავების ფერთა მრავალსახეობა ვლინდებოდა რომანტიკულ გმირშიც და ყოფით რეალისტურ ხასიათებშიც. ვისაც გოძიაშვილი უნახავს „ძველ ვოდევილებში“, ფარანით ხელში სევდიანი სიმღერით რომ ეთხოვება ძველ თეატრს ან ფარდის წინ როგორი რიტმითა და არტისტულობით მიემართება სცენის ერთი კუთხიდან მეორისაკენ, მას არასოდეს არ დაავიწყდება იგი. ამ ორ პატარა ეპიზოდშიც კი ჩანდა დიდი აქტიორული ხელოვნება. ეს იყო ნამდვილი თეატრალური ზეიმი, არტისტული სიხარული.

არავინ ისე არ გრძნობდა ძველი თბილისის კოლორიტს, როგორც ვასო გოძიაშვილი. სიკვდილამდე არ განელებია თავისი სიყრმის დღეების სიყვარული. ადრე დაობლებული ბავშვისათვის მძიმე იყო ის დღეები, მაგრამ შთაბეჭდილებები, რომლებსაც მასზე თბილისის ცხოვრება ახდენდა, მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. როცა თეატრის სცენაზე, ესტრადაზე თუ ყოფის ურთიერთობაში შეიქმნებოდა ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი ატმოსფერო, უცებ იმ სამყაროს არტისტულ ლიდერად წარმოდგებოდა ისევ და ისევ გოძიაშვილი. საზღვარი არ ჰქონდა მის მსახიობურ ფოიერვერკებს. მის წარმოსახვაში ცოცხლდებოდნენ ძველი თბილისის ქუჩები, თითქოს ისმოდა დუდუკისა და არღნის ხმაბი, იკვეთებოდა ყარაჩოხელთა სილუეტები. ნაცნობი მელოდიები ჰკოცლობდნენ მის გულისხმას და გოძიაშვილიც, შთაგონებული მღეროდა თბილისის ქუჩებში, მუშაკთან, ყარაჩოხელებთან, იყო „სიკვილის მეფესთან“ — დონატოვთან და ი. ტკაჩევთანაც დადიოდა სიმღერისათვის. იწრთობოდა მისი ხმა, იხვეწებოდა პლასტიკა, მდიდრდებოდა და ფართოვდებოდა მისი არტისტული სამყარო. მან გაიარა დრამატული სტუდიაც და საოპერო კლასიც. ხალასი ნიჭის ახალგაზრდას იმთავითვე ყურადღება მიაქციეს კოტე მარჯანიშვილმა და სანდრო ახმეტელმა.

ვასო გოძიაშვილი ყოველთვის ღრმესი პატივისცემით იხსენიებდა მათს სახელებს.

იგი რუსთაველის თეატრში ქმნის მსაჯულის („ლატავრა“), ბარდოლფის („ვინძორის მხიარული ქალები“), დარჩოს („მზის დაბნელება საქართველოში“), მაწანწალას („კარმენსიტა“) და სხვა სახეებს. განსაკუთრებით ფართო საზოგადოებრივი ყურადღება ჰქონდა ახმას („ანზორი“). არტისტული სიჭაბუკის ამ სათავეებიდან წარმოქმნილი მრავალსახეობა შემდგომში გაფართოვდა და ფერებით გამდიდრდა. შეიქმნა კონტრასტული ხასიათები და სახეები, სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური, მორალური და ეთიკური ბუნების ადამიანთა ოსტატური გამოსახვით სცენას შეემატნენ გოძიაშვილისეული სახეები. მან გაამდიდრა ქართული სამსახიობო ხელოვნება.

თაობიდან თაობებში გადადიოდა ვასო გოძიაშვილის საოცრად სცენური მომხიბვლელი სახე. გოძიაშვილის შესრულებაში მაყურებელს ხიბლავდა ის შინაგანი ადამიანური სითბო, რომელიც მუდამ ვლინდებოდა მის გმირთა სახეებში. ვასო გოძიაშვილის ხელოვნების მამხილებელი ძალა მუდამ კაცთმოყვარეობის შუქით იყო განათებული. ამიტომ მისი უარყოფითი პერსონაჟები ხშირად სიძულვილს კი არა, სიბრალულს იწვევენ. მსახიობი იუმორით უყურებს თავის გმირებს. ვასო გოძიაშვილი ქმნის დიდ სცენურ სახეს, კლასიკურად განზოგადებულ ლუარსაბის გროტესკულ ნიღაბს. იმდენად ძლიერი აღმოჩნდა გოძიაშვილისეული ლუარსაბის სცენური მოდელი, რომ ქართულ თეატრში მან დაამკვიდრა ლუარსაბის სცენური ტიპი.

ვასო გოძიაშვილის ხელოვნების დიაპაზონის, მისი ფართო მხატვრული თვალსაწიერის გამომხატველი სახეებია: ლუარსაბი, ავეტიკა, ფიგარო, არმან დიუვალი, მეფე ერეკლე, არბენინი, ბაბა, დე სანტოსი, ჩემმაკოვი, ხარატელი ბესო, რიჩარდ მესამე და მრავალი სხვა. ასზე მეტი როლი შეასრულა ვასო გოძიაშვილმა ქართულ სცენასა თუ ეკრანზე. სულ რაღაც ორიოდე ეპიზოდში გაიელვებს ვასო გოძიაშვილი ფილმში „ქეთო და კოტე“, და აღარასოდეს არ გავიწყდებათ. რა მოქნილობა, რა პლასტიკა, რა არტისტიზმია მის ყოველ მოძრაობაში! აქ ყველაფერი ცოცხლობს და ფეთქავს, ყველაფერი თეატრალურად ზეიმურია. გიორგი შავგულიძისა და ვასო გოძიაშვილის დუეტი, მათი სიტყვა, იუმორი, მათი ფოიერვერკები ქართული არტისტული გენიის გამოვლინებაა!

ვასო გოძიაშვილი მხატვრული დეტალის ოსტატი გახლდათ. ყოფითი ნიუანსებიდან, მარჯვედ მიგნებული ეფექტური სახასიათო დეტალებიდან ძერწავდა რთულ მხატვრულ სახეს. როცა გოძიაშვილის ლუარსაბ თათქარიძე ღმერთს შესთხოვდა — ერთი შვილი მაჩუქეო, ისე ელაპარაკებოდა უხილავ ძალას, თითქოს მის წინ კონკრეტული, ცოცხალი ადამიანი ყოფილიყოს. თითქოს თვალებში შესციცინებდა მას — გრძნობდა „პარტნიორის სუნთქვას“. სცენური დროის თვალსაზრისით ერთობ დიდხანს უსმენდა მაყურებელი ვასო გოძიაშვილის ღიმილისმომგვრელ საუბარს ღმერთთან. თითქოს არაფერი სათამაშო არ ჰქონდა მოხუც გენერალს ეპიზოდურ როლში (ა. აღლაძის „მღელვარე დღეები“), მაგრამ გოძიაშვილი ქმნიდა ათასგვარი დეტალით სავსე მუსუსი გენერლის იუმორისტულ ხასიათს. გარდასახვის ოსტატი განსაკუთრებულ წარმატებას აღწევდა, როცა ფერთა სიუხვით ძერწავდა ხასიათებს, როცა სცენაზე შემოვიდოდა მისი ბესო, თითქოს სცენა ივსებოდა რაღაც განსხვავებული აზრით. მის გმირს ქართველი გლეხკაცის დიდი და დრამატული ისტორიის სუნთქვა მოჰქონდა მარჯანიშვილის თეატრში. ა. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატის“ დადგმა (დამდგმელები გ. ლორთქიფანიძე, ი. კაკულია, მხატვარი მ. მალაზონია, კომპოზიტორი ა. ჩიმაკაძე) თავისთავად ისტორიული ფაქტი იყო, რადგან პირველად გამოვიდა ამ სცენაზე აკაკი ხორავა (ოთარ-ბეგი), აქ ერთმანეთს შეხვდნენ დიდი მსახიობები — ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა, ვ. გოძიაშვილი, ს. თაყაიშვილი.

ვასო გოძიაშვილი ნამდვილი სახალხო არტისტი იყო. მისი დიდი პოპულარობა მომდინარეობდა შემოქმედების დემოკრატიული ხასიათიდან. ყველასათვის ახლობელი და გასაგები იყო, რასაც იგი ქმნიდა. ფორმის სიმკვეთრე, ხასიათის დინამიზმი, მსახიობის აქტიური პოზიცია, გრიმის მარჯვედ მორგება, სხვადქცევის უნარი, პლასტიკა, ერთი სიტყვით, მთელი მისი საშემსრულებლო არსენალი და მხატვრული ქსოვილი საოცრად ნათელი იყო. თითქოს სულის სიღრმიდან ამუქებდა თავის სახეებს მსახიობი. არაფერი არ იყო მასში ხელოვნურად გართულებული, ბუნდოვანი. ყველაფერს თავისთავადობისა და მსახიობური მომხიბვლელობის დაღი აჩნდა.

საუკეთესო ქართულ რეჟისურასთან თანაშემოქმედებით მოხდა ვასო გოძიაშვილის სცენური გზის ფორმირება. კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სპექტაკლების შემდეგ, იგი თავის სახეებს ქმნის ვასო ყუშიტაშვილის, ვახტანგ ტაბლიაშვილის, გიორგი ჟურულის, არჩილ ჩხარტიშვილის, დიმიტრი ალექსიძის, გიგა ლორთქიფანიძის და სხვათა დადგმებში. დიდი ინდივიდუალობის მსახიობს ვასო გოძიაშვილს თავადაც სურდა წარმოდგენების დადგმა. სწორედ ამ სურვილის ახდენა და ახალი დიდი შემოქმედებითი წარმატება იყო ერთსა და იმავე დროს „ძველი ვოდევილების“ დადგმა. გოძიაშვილმა უკანასკნელად ამ ათი წლის წინ ითამაშა თავის საყვარელ სპექტაკლში. სევდიანი სიმღერით გამოეთხოვა ძველ თეატრს, მაყურებელს და ამაში იყო რაღაც სიმბოლურიც. წავიდა თითქოს ძველი, მაგრამ მარადიული ღირებულების, მუდამ მოსანატრებელი უზადო არტისტიზმის თეატრი, რომელსაც ვასო გოძიაშვილის სახელი ჰქვია.

ვასილ კიკნაძე.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

პატივცემულო რედაქციავ! გაზეთ „კომუნისტის“ 24 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ვ. მარდალეიშვილის წერილი „ამას ჰქვია „სულიერი საზრდო?“, რომელშიაც მოხსენებულია ჩემი სახელი და გვარიც, როგორც გაკრიტიკებული ალმანახის „საწმისის“ სარედაქციო კოლეგიის წევრისა.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია, მოგაწოდოთ მცირე განმარტება:

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია მწერალთა კავშირის სამდივნოს, მოეხდინა ლიტერატურული პრესის სარედაქციო კოლეგიების წევრთა კოორდინაცია იმ აზრით, რომ თავიდან აგვეცილებინა პარალელიზმი, როცა ერთი და იგივე პიროვნება ერთდროულად რამდენიმე კოლეგიის წევრია. სწორედ ამ ღონისძიების შედეგი გახლდათ ჟურნალ „ცისკრის“ კოლეგიიდან ჩემი გამოყვანა და, შესაბამისად, „მნათობის“ კოლეგიაში შეყვანა.

ჩემთვის რომ „საწმისის“ რედაქციას კოლეგიის წევრობა შეეთავაზებინა, მე ამ პატივზე უარს ვიტყოდი თქვენთვის უკვე გასაგები მიზეზის გამო, მაგრამ ჩემთვის ამ წინადადებით არავის მოუმართავს. მე ჩემი „წევრობის“ ამბავი სწორედ ზემოთ ნახსენები პუბლიკაციის წყალობით შევიტყვე.

ამ განცხადებას ვაკეთებ არა იმისათვის, რომ ალმანახ „საწმისის“ წარუმატებელი დებიუტის გამო გაჩენილი უსიამოვნო განწყობილება კიდევ უფრო დავამძიმო, არამედ იმისათვის, რომ ყოველი ჩვენგანის ყურადღება კიდევ ერთხელ მივაქციოთ ერთ გარემოებას: უმრავლეს შემთხვევაში სარედაქციო კოლეგიის წევრობა ფიქციაა. ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, პრესტიჟული იარლიყი სალიტერატურო გამოცემის გარეკანზე, რაც არავის არაფრით ავალდებულებს.

სამწუხაროდ, ეს მავნე პრაქტიკა თითქმის ნორმადაა ქცეული და მწერალთა კავშირის სამდივნოს უახლოეს ხანში მასზე საგანგებოდ ექნება მსჯელობა.

როგორც ჩანს, „საწმისის“ ხელმძღვანელობამაც, ინერციის ძალით, ასე ჩათვალა: კოლეგიის წევრებად გამოცხადებულ პირებს გაუხარდებოდათ ახალი პრესტიჟული იარლიყი, ალმანახს კი ამ გვარების წყალობით ძლიერი ფარი გაუჩნდებოდა.

გასაგები მიზეზების გამო მე ამ ნდობისათვის მადლობელი ვერ ვიქნები.

პასუხს ჩემდა თავად მხოლოდ ოთხ სტრიქონიანი მისალმებისათვის ვაგებ, მით უმეტეს, რომ, როგორც ეტყობა, ჩემმა ლოცვამ და კეთილმა სურვილებმა ვერ გაჭრა — ალმანახმა ვერ გაამართლა.

ამ მხრივ მე მთლიანად ვიზიარებ მის „კომუნისტისეულ“ შეფასებას.

ჯანსუღ ჩარკვიანი,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

რედაქციისაგან: ბეჭდავს რა ჯანსუღ ჩარკვიანის ამ განმარტებას, რედაქცია კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას იმ მცდარ და დასაგმობ პრაქტიკაზე, რომელზედაც მინიშნებული იყო „კომუნისტის“ პუბლიკაციაში, და როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელის განმარტებიდან ჩანს, ჭერაც დიდი გასაქანი ჰქონია.

დროა კი ბოლო მოეღოს.

რედაქციას განმარტება გამოუგზავნა აგრეთვე „საწმისის“ სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთმა წევრმა, მწერალმა ვლადიმერ ალფენიძემ. იგი გვწერს: „მინდა გაუწყოთ, რომ ალმანახ „საწმისში“ დაბეჭდილი ნაწარმოებები, მათ შორის კინომოთხრობა „ბერლინის დაცემა“, მე გამოქვეყნებამდე არ წამიკითხავს.

მაოცებს „საწმისის“ მესვეურთა პოზიცია: რატომ არ გამაცნეს დასაბეჭდად გამზადებული მასალები?!“.

„ქეთო და კოტე“ საჩხერეში

საჩხერის კულტურის სახლში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ვ. დოლიძის კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“. სპექტაკლის დამდგმელები არიან საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ტორონჯაძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. გუმბერიძე.

მსმენელთა წინაშე წარსდგნენ მომღერლები ვ. დონდუა, ა. პურღულია, ლ. ახალაძე, ი. ქუთათელაძე, ა. გუმბერიძე.

ჰ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ბუნება — სიცოცხლის კარი

„ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია. ცოცხალნიც მისნი ვართ და მკვდარნიც.“

ვაჟა-ფშაველა

გაზეთ „კომუნისტის“ მიერ შემოღებული ახალი განყოფილება რუბრიკით „ბუნება — სიცოცხლის კარი“ მეტად დროული და სასარგებლო წამოწყებაა. რადიოელექტრონიკა, მექანიზაცია, ავტომატიზაცია და საერთოდ ტექნიკური პროგრესი ადამიანის ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა. ყველაფერმა ამან ისე გაგვიტაცა, რომ ვეღარც კი ვამჩნევთ, როგორ ვშორდებით ნამდვილ ბუნებას და ვქმნით ხელოვნურ გარემოს, ეგრეთ წოდებულ ადამიანისეულ ანუ ანთროპოგენულ ბუ-

მან კი ასეთი მოგონება შემოგვინახა: „ორ პაციენტს, ბრონქული ასთმით დაავადებულებს, რამდენიმე დღის განმავლობაში ვგზავნიდი მღვიმეში. მედიკამენტოზური მკურნალობა ეფექტს არ იძლეოდა, ხოლო ნოტიო, ცივ მღვიმეში მათ შეტევები უწყდებოდათ. ამის შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ავადმყოფებს არავითარი ჩივილები აღარ ჰქონდათ“.

ეს იყო სპელეოთერაპიის თავისებური დაბადების დღე. ორ-

კარსტული მღვიმის მიკროკლიმატის თერაპიული ეფექტი განპირობებულია მასში შემავალ მეტეოელემენტების თავისებურებებით, მათი ერთმანეთთან კეთილსასურველი შერწყმით, რითაც იგი საგრძნობლად განსხვავდება მღვიმის გარეთ არსებული კლიმატისაგან და იგი წელიწადის ყველა დროს ერთნაირია.

მღვიმის ჰაერში პათოლოგიური ბაქტერიები არ არის. აეროზოლის სახით მასში გაფანტულია კალციუმის, მაგნიუმის და ჰიდროკარბონატის იონები. ძალზე

უნთქავს. ამ პერიოდში ფილტვებში გაივლის 15 კილოგრამი ჰაერი. მილიონი წლების განმავლობაში ადამიანი მუდამ სუფთა ჰაერს სუნთქავდა და მის ორგანიზმს ასეთი ჰაერისადმი აქვს მოთხოვნილება ამჟამადაც.

დადგენილია, რომ ბოლო დროს ძალზე გაბინძურდა ჰაერი, განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს ქალაქებში, სადაც კონცენტრირებულია მოსახლეობის დიდი ნაწილი. ყოველდღიურად ქარხნებისა და ავტომობილების გამონაბოლქვი ძალზე ბევრ, ორგანიზმისათვის მავ-

ჰყავს ერთი პატრონი. ამის საილუსტრაციოდ საირმის მაგალითიც კმარა. ამ ერთი ციცქნა ტერიტორიაზე დამოუკიდებელი უფლებებით რამდენიმე უწყება მოქმედებს — პროფკავშირების კურორტთა მართვის საბჭო, მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების სამმართველო, ცეკავშირი, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველო და სხვ. ასეთი მდგომარეობა დიდ უხერხუ-

[...]

ბის გამოყენებით ბრონქული ასთმის სამკურნალო ეფექტიანი საშუალება გახდა.

საქართველოში ამ მიზნით პირველად გამოიყენეს თეთრი მღვიმე, რომელიც წყალტუბოს ზონაშია. ინსტიტუტსა და მის წყალტუბოს ფილიალში დაკვირვებე-

და მისი მეტად საჭირო შემადგენელი ნაწილი, ჰაერის ვიტამინად წოდებული, მსუბუქი აეროიონები.

ცნობილია, რომ ამინდი დიდ გავლენას ახდენს თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობაზე. ეს ხდება ზოგჯერ ძალზე შეუმჩნევ-

გამონაბოლქვები „უფრო საშიში გახდა, ვიდრე ომების დროს ქვემეხებიდან ყუმბარების გასროლა“. დგება ისეთი დრო, რომ სუფთა ჰაერი საძებარი და სანატრელი გვიხდება. ასეთ პირობებში კარსტული მღვიმეები სუფთა ჰაერის ერთგვარ ნაკრძალებს წარმოადგე-

ციონალურ გამოყენებაში, ისე ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში.

ამიტომ მიზანშეწონილი და დროულია უახლოეს დროში განხორციელდეს ჩვენს საზოგადოებაში მომწიფებული აზრი ყველა საკურორტო დაწესებულების ერთ

პროექტი და გარემო

მეცნ: მოამაგენი, ცდომილნი

ნ. მღვიმე — ჯანმრთელობის სამსახურში

ბის შედეგად გამოირკვა, რომ სპელეოთერაპიის შედეგად ბრონქული ასთმით დაავადებულებს ასთმური შეტევები ნაწილობრივ ან მთლიანად უწყდებათ, უმჯობესდება გარეგანი სუნთქვის მაჩვენებლები, ქვეითდება ორგანიზმის მგრძნობელობა ასთმის გამომწვევი აგენტების (ალერგენების) მიმართ, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევის ძირითადი მაჩვენებლები, დადებითი ძვრებია ბიოქიმიურ მონაცემებში, ქსოვილები ეკონომიურად ხარჯავენ ჟანგბადს და სხვა.

დაკვირვებების შემდგომ ეტაპზე ნათელი გახდა, რომ კარსტული მღვიმის მიკროკლიმატი დადებითად მოქმედებს არა მარტო ასთმიან ავადმყოფებზე, არამედ

ლად, ზოგჯერ კი მკვეთრად, ორივე შემთხვევაში ამინდი მეტ-ნაკლებად ტოვებს თავის კვალს.

დღეისათვის მეცნიერები სწავლობენ, თუ როგორ იმოქმედონ ამინდზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ადრე თუ გვიან მიაღწევენ იმას, რომ ჩვენი ნების მიხედვით შევცვალოთ ამინდი და საერთოდ, ვმართოთ იგი წინასწარ შედგენილი პროგრამის მიხედვით. მაგრამ ასეთი დღე ჯერჯერობით არ დამდგარა და ჩვენ იძულებული ვართ დავჯერდეთ ამინდს ისეთს, როგორიც არის.

ისღა დაგვრჩენია, რომ ან როგორმე გავზარდოთ ადამიანის ადაპტაციის უნარი ამინდის ცვლილებების მიმართ, ანუ მეტეოლაბილური ადამიანები მეტეოსტაბი-

ნენ. მაგრამ თუ არ მოვუარეთ მას, ისიც შეიძლება გავაფუჭოთ, იქაც შეიძლება ჰაერი გავაჭუჭყიანოთ, ის ჰაერი, რომელიც ისევე სჭირდება ადამიანს, როგორც წყალი თევზს.

ვინ უნდა მოუაროს კარსტულ მღვიმეებს? ვფიქრობ, იმან, ვის

სისტემაში, მსხვილ ორგანიზაციაში გაერთიანების შესახებ, თუნდაც სამინისტროს ან კომიტეტის სახით. ცხადია, გამართლებული იქნება აგრეთვე ამავე სისტემაში კარსტული მღვიმეების, როგორც სანატორიულ-კურორტული დაწესებულებების გაერთიანებაც.

[...]

ნ. ხატიაშვილი,



„კომუნისტი“ სამყარო საკითხები

პრობლემა ჰიპოთეზა, ფაქტი

მარადიული გამყინვარება — მაცივრად

მონღოლეთი. მონღოლეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიისა და გამყინვარების შემსწავლელი ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეადგინეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მარადიული გამყინვარების ზონების რუკა და შეიმუშავეს სახალხო მეურნეობაში ბუნებრივი სიცივის გამოყენების მეთოდები. ულან-ბატორის მიდამოებში უკვე აშენდა ოთხი მაცივარი, რომლებიც 1000 ტონამდე სურსათს შეინახავს. ეს მაცივრები მეტად რენტაბელური აღმოჩნდა. მათ მუშაობისათვის არ სჭირდებათ ძვირად ღირებული კრიოგენული აპარატები, ელექტროენერგიის მცირე რაოდენობას ხარჯავენ და მომსახურე პერსონალიც ბევრად ნაკლები სჭირდებათ. ბუნებრივი მაცივრების ტემპერატურა 8 გრადუსს არ აღემატება.

კბილების მკურნალობა უმტკივნეულოდ

აშშ. სურსათისა და მედიკამენტების ხარისხის საკითხების სამმართველომ მოიწონა ფართო გამოყენებისათვის ქიმიური ხსნარი, რომელიც უმტკივნეულოდ შლის კარიესით დაავადებულ კბილის ნაწილს, თუმცა მისი გა-

[...]

მშვენიერების საოცნებო სამყარო

ჩვენს რესპუბლიკაში ხვალ იწყება და 9 დეკემბრამდე გასტანს თეატრალური ხელოვნების XI ტრადიციული კვირეული „თეატრი და ბავშვები“.

ვრცელი და საინტერესოა კვირეულის პროგრამა: იგი გაიხსნება გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და პარალელურად თბილისის ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში.

ბევრ საინტერესოს გვპირდება ნორჩ მხატვართა გამოფენა — „მე რომ თეატრის მხატვარი ვიყო“, რომელიც 3 დეკემბერს გაიხსნება ბავშვთა სურათების გალერეაში. 4 დეკემბერს კი თბილისის სკოლების მოსწავლეთა სტუმრები იქნებიან ქართული სცენის ცნობილი ოსტატები.

რომელ ბავშვს არ უოცნებია პროფესიული თეატრის სცენაზე გამოსვლა? ამჯერად ეს პატივი წილად ხვდათ ქუთაისის 28-ე საშუალო სკოლის დრამატულ კოლექტივს, თბილისის მხატვრული აღზრდის პანტომიმის თეატრს და პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თეატრს.

კვირეულის დღეებში დაგეგმილია თბილისის 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა შეხვედრა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებთან, „პოეზიის საღამო“ თბილისის პირველ საშუალო სკოლაში, „თეატრალური ვიქტორინა“ თბილისის მხატვრული აღზრდის სახლში.

[...]

მოსკოვი

1 დეკემბერი

[...]

ჩვენს ტელეეკრანებზე

[...]

თბილისი

1 დეკემბერი

[...]

თეატრი

1 დეკემბერი

[...]